

საგაზეთო

ეროვნული
ბიზნისოთხე


საერთოული გაზეთი

საბჭოთაბატი 6 საქტაბაბარი 2001 №169 (1442)

ფასი 50 თეთრი

ალექსანდროული ქეიფი ჩახსნილ ვაბონში

იაშვილა ჩივაძეს სიაბონება გახსანბრძივა




ალექსანდროული ჩივაძე

ალექსანდროული ჩივაძე: სამი მოგება სამ მატჩში

ალექსანდროული ჩივაძის ნაკრებს მოგებათა სერია გაუგრძელა. მანამდე კი მთელი 80 წუთი ქართველები უკბილოდ და უზიფათოდ უტყვედნენ. სანადელის ასრულებას უნგრეთთან მოგების შემდეგ მთავარი მწვრთნელის მოწონებული ინდივიდუალური ოსტატობით ცდილობდნენ. ლიტველები კი კონტრიერშიებით ლამობდნენ ჩვენებურთა გამოჭერას და საამისოდ სამი ჩინებული შანსიც ჰქონდათ, მაგრამ ვერც თავად ივარგეს და დავით გვარამაძემაც კარგად შეუშალა ხელი. ასე თუ ისე, მოგება ფრეს თუ წაგებას მაინც ყოველთვის სჯობს. თამაშ-თამაშ იმატა ნაკრების ქომაგმა და ზედიზედ მოგებით ფეხბურთელებთან თუ მათ თავკაცობასთან ერთად ალაღადაც გაიხარა. ეგაა, ეს ლხინი ჩახსნილ ვაბონში ქეიფს ჰგავს, რადგან წუხელ უნგრეთის 2:0 მძლეველმა რუმინეთმა საქართველოს ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრის თეორიული შანსიც მოუსპო.



გუშინ ვაკეში: საქართველო — ლიტვა 2:0. ალექსანდროული ჩივაძე (№9) ორ წუთში ლიტველებს მეორეც გაუტანა



REUTERS სტამბოლიდან

თურქეთი — ხორვატია 87:85. ხორვატებმა მატჩის გმირ მირსად თურქჯანი (№6) ბურთი ვერ წაართვეს

ბაირამ-თიბ!



გერმანელი დირჟ ნოვიცკი და თურქთა სამეული — მირსად თურქჯანი, ჰიდაიეთ თურქოღლუ, იბრაჰიმ ქუთლუაი — აი, ევროპის ჩემპიონატის გუშინდელი მეოთხედფინალების გმირები. ორივე მატჩის ბედი ბოლო წამებზე გადაწყდა. ნოვიცკიმ მარტომ მოუგო საფრანგეთს, ხოლო თურქულმა ტრიომ არაჩვეულებრივად ზუსტი სროლების წყალობით ხორვატებთან თითქმის წაგებული თამაში ჯერ დამატებით დროში გადაიყვანა, იქ კი მეტოქეს მთლად მოუღო ბოლო და თურქობას ბაირამი მოუწყო.

გუშინდელი მეოთხედფინალების მიმოხილვა იხილეთ მეოთხთმეტე გვერდზე

იაზროვნეთ კუთხურად!

მანუა კანტალიანი

ამი არ იცოდნენ უნგრეთ — რუმინეთის მატჩის ანგარიში, ანაც საიდან ეცოდნებოდათ, ბუდაპეშტში ხომ გაცილებით გვიან დაიწყო თამაში, მაგრამ მანაც გამარჯვებისთვის იზარჯებოდნენ ცდილობდნენ, ქომაგისთვის ფრანსილი-სოდენა იმედი შეენარჩუნებინათ, ცდილობდნენ, რადგანაც იგრძნეს სიყვარული, რომელიც აქამდე არ უგრძნიათ. განა არ ვიცოდით, რომ ხავსს ვიყავით მოჭიდებულნი. ის უნგრეთი, თბილისში რომ ვნახეთ, რუმინეთს როგორ წაუქცევდა. მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრას იმედმა პირველად 28 მარტს იწყო ქრობა. რუმინეთთან სამინაო მარცხის შემდეგ მშველელი აღარ გამოჩნდა და 6 ივნისს ბუდაპეშტში 1:4 წაგებით საბოლოოდ ჩაქრა.

რა საჭიროა ნაკრებში ალექსანდრე იაშვილი? რად გვინდა ჯამარაული? ცქტიშვილზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. რა შეუძლია დემეტრას და როგორ შეიძლება ორი თავდაპირველი თამაში. ზემოთ ჩამოთვლილთა ნაკვალავში მკარე გემოვნებით შერჩეული მოთამაშეების მოზღვავებამ მიიყვანა ჩვენი გუნდი კიდევ ერთ ფიასკომდე. ფეხბურთის ფედერაცია გვიან, მაგრამ მაინც მიხვდა შეცდომას, მაშინ, როცა ყველაფერი დაკარგული იყო.

ქართველმა ქომაგმა უნგრეთთან და ლიტვასთან იხილა მებრძოლი და გამარჯვებისთვის შემართული ნაკრები. ორივე მატჩის ბედი ფეხბურთელთა მონდობამ და ინდივიდუალურმა გაბრწყინებამ გადაწყვიტა ჩვენები კვლავ მოიკოჭლებენ კოლექტიურ თამაშში და ნაკრები ტაქტიკურად ისევ გაუმართაობაშია.

მნელა, გამარჯვებული ასამართლო, მით უფრო, როცა ფეხბურთელებთან სასაყვედუროვო არაფერი გვაქვს და არც ჩივადეა ღმერთი, ხელის ერთი აქნევით დაალაგოს დაშლილი გუნდი, მაგრამ შეცდომები უცხადესი იყო ორივე მატჩში და ეს ჩემზე უკეთ მიეხსენება ალექსანდრე ჩივაძეს და მის გუნდს.

ჩივაძის დამსახურება უპირველესად ის არის, რომ ინტერდებით გასაღებილი ნაკრები ერთ მუშტად შეკრა. გუნდს გამარჯვების რწმენა დაუბრუნა და აგრესიულად ათამაშა. სხვა მხრივ თაოსნასწორებელ-გასაუმჯობესებელი თავსაყრელადა და წინ კიდევ ერთი თვეა რუმინეთში სტუმრობის შემდეგ ალბათ საბოლოოდ გაირკვევა, შეძლებს თუ არა ციკლს ეროვნული გუნდი ჩივაძის თავკაცობით დაიწყებს, თუ — ბუქარესტში ნაკრებმა თუ ივარგა, გასაკვირი არ იქნება ჩივაძე პოსტზე დარჩეს და ფეხბურთის ფედერაციას გადაწყვიტილ-



შეცვლაზე შესულმა გიორგი დემეტრასემ ქართველთა თამაში გამოაცოცხლა

ბასაც ბევრი ვერ დაუწუნებს. ამ გადაწყვეტილების გამოტყუებულებს უწინარესად შედეგს აფარებენ ცხვირზე. რა და როგორ იქნება, ამას მაინც დრო გამოაჩენს. ახლა კი გუშინდელ მატჩზე ვთქვათ. სადებიუტო აფეთქების შემდეგ ქართველთა მწვობრი თამაში დაიკარგა. ვერ გაეტიანთ სწრაფი გოლი და მერე შეხვედრის ბოლომდე, ჩვენს ბიჭებს სტუმართა მეკარე გინტარას სტაქე აღარ შეუწუნებიათ.

ინდივიდუალიზმის წყალობით ქართველები ქნიდნენ ხიფათს ლიტველთა კართან, მაგრამ ან კარში დარტყმას ვერ ახერხებდნენ, ანაც სიზუსტე ღალატობდათ. სტუმრებმა მოახერხეს ჩვენი თავდაპირველების გაუგებლება. გაუჭირდა ჩვენს ნახევარდაცვას და შეცდომებს უხშირა დაცვამ. ტაიმის შუაში ლიტველებმა ორჯერ მწარედ გვიჩხვილეს და მათ დაბალ სამეცხრელო ოსტატობას ვუმაძღვრებთ, თორემ ნაკრების ახალი მწვორთელის ვინაობა დღესვე გახდებოდა გასარკვევად დასაწყვეტი.

ლიტველებმა მეორე ტაიმშიც გაუშვეს ხელიდან ორი ხელსაყრელი მომენტი და მეტოქემ ეს არ აპატია ჩემი აზრით, დროის ამ მონაკვეთში სტუმრები თამაშის სწორი ორგანიზაციით გველობდნენ. კონტრშეტევისა შესაშურ სისწრაფეს და განსწავლულობას იჩენდნენ

და მინდორზე მოთამაშენი, ტრიბუნებზე კი ქომაგი ძლიერ გვიწინდებოდნენ. ლიტველი მორინასის ფეხბურთელობისა რა ვთქვათ, მაგრამ ამ ბიჭმა, ორი ქართველი რომ ავიწროებდა, 3-ე წუთზე თავდაზნობა უზადო პასი მაიწოდა შემებრასს. გვარამბესთან პირისპირ დარჩენილმა ლიტველმა ფორვარდმა კი... მორინასმა სწორად გათვალა, ბურთი სად ჩაეგდო, შემებრასს კი ასწავლეს, პასს სად დალოდებოდა. იცინა, ასწავლეს და ამით გვეჯობიან უცხოელები, თორემ სხვა მხრივ ჩვენს ბიჭებთან ლიტველები ახლოსაც ვერ მოვლენ.

დიდი უპირატესობა ეპყრათ ხელთ ქართველებს, მეორე ტაიმში სიმწვავე შემოიტანა გიორგი დემეტრასემ, მაგრამ სტუმართა დაცვის გარდევვა მაინც ჭირდა და გიორგი ქინქლაძემ ინდივიდუალურად სცადა ბედი. გამოუვიდა, მოტყუებული მცველები უღონოდ შესცქეროდნენ საჯარიმოში ბურთის ჩაშვობებულ ქინქლაძეს. ბურთი მაინც არა და არ ხვდებოდა მიზანს, ორჯერ უკუაგდეს იგი ლიტველმა მცველებმა, მაგრამ საჭირო დროს, საჭირო ადგილზე იყო იაშვილი. მისი შემობრუნებით დარტყმული სტუმართა კარის ბადეში გაეხვა.

ორ წუთში საპირისპირო ფლანგიდან უკვე კობიაშვილმა გაგზავნა ბურთი იაშვილისკენ და ფრაიბურგელის ეფექტური დარტყმის შემდეგ მეორედ აგუგუნდა ტრიბუნები.

ცხადი იყო, მოვიგეთ, დარჩენილ დროში ლიტვას ეტყობოდა, გამტანი არ იყო. დარჩა ხალხის სიხარული, მადლობის შეძახილები და ჩივაძის ხელში ატაცებული იაშვილი...

ნაკრებმა მოიგო ურენვიასვილოდ, გუშინ, გამთენიისას მოწამლისგან ცუდად შექნილი ვოჩა ჯამარაულის გარეშე. ჯამარაული მაინც ბოლო წუთამდე გუნდთან ერთად იყო. ისინიც, ვისაც არ უთამაშია და ვალმოხდობნიც, ალბათ, ერთად ელოდნენ უნგრეთ — რუმინეთის მატჩის შედეგს. ცხადია, გულიც დასწყვებოდათ, მაგრამ შევეხდეთ სიმართლეს თვალბში, ამდენი შეცდომის შემდეგ ჩვენს ნაკრებს კორეა — იაპონიაში მოხვედრა არ ეკუთვნოდა.

პრესკონფერენციაზე სტუმართა თავკაცი ბენიამინას ზელკაიავიჩუნი უფრო მხნედ გამოიყურებოდა. ჩივაძეს კი ეტყობოდა, ზედმეტ ნერვიულობას მისთვის დიდი ენერგია წაერთმია.

ლიტველთა მწვორთელმა გამოუყენებულ მომენტებზე და იანკაუსკასის ტრავმაზე გაამახვილა ყურადღება. დემეტრადის სოსიედადელი თანაგუნდელი საზარდულს შეუწუნებია. დიდი ტერიტორიული უპირატესობა გქონდათ, მაგრამ პირველად ჩვენ რომ გავკვებანა, მაშინ გამარჯვებულის ვინაობა საკითხავი იქნებოდა. თავისი ფეხბურთელების გარეჯით კმაყოფილი იყო, ჩვენს გუნდზე კი თქვა, კარგი და მაღალტექნიკური

საქართველო 2:0 ლიტვა

10, 20 იაშვილი (82, 84)

1. გვარამბეი

3. ხიზანიშვილი

4. საჯია

5. კალაძე

7. ნემსაძე

2. კობიაშვილი

6. ცქტიშვილი

8. ალექსიძე

10. ქინქლაძე

9. იაშვილი

11. ყაველაშვილი

11. პოშუსი

6. მორინასი

10. რაჟანაუსკასი

8. მიკალოუნი

9. შემბერასი

7. რ. უტაუტასი

2. ჯიაუჭკასი

3. სტანკევიჩიუსი

5. შკარბალიუსი

4. გლევეცკისი

1. სტაუჩე

მწვინი: ვაველაშვილი — 15, დემეტრადე (46), ალექსიძე — 18, ბურაღული (67), რაჟანაუსკასი — 18, იანკაუსკასი (86), იაშვილი — 14, შ. არვლეძე (89)

მწვინი: პოშუსი (45), მიკალოუნი (70), უტაუტასი (76)

მსაჯენი: შ. იაკობი; შ. ოსადორი, ე. პატუკა; მ. დევი (ველა იარალი); ფიფას ფილანტი: უ. მულერი (შეფარია); მსაჯენის ინსპექტორი: რ. ვალენტი (შოტლანდია)

ჯარიმი: 19-20; კუთხური: 14-3; კარისკენ დარტყმა: 16-4; კარიში დარტყმა: 3-2; თამაშდარე: 2-2



კახა კალაძეს კუთხურის თავურის გატანა როლანდს ჯიაუჭკასმა (№2) არ დაანება

მოთამაშეები გყავთ, მაგრამ ძველ დინამიულებთან ოსტატობით რას მივლენო.

ალექსანდრე ჩივაძე თავისი შეგირდების ბრძოლისუნარიანობა აღნიშნა. გვიტხრა, ლიტველთა იტალიასთან თამაში დეტალურად შევისწავლეთ და რასაც ველოდით, ზუსტად ის ვიხილეთო.

ალიარა მწვორთელმა, რომ ხარვეზებიც საკმაო იყო და სამუშაოც თავსაყრელადაა. მხოლოდ ერთ რამეში ვერ დავეთანხმებთ ჩივაძეს — ჩვენმა ნაკრებმა თოთხმეტჯერ ჩააწოდა კუთხურებიდან ბურთი და ერთი ხიფათი ვერ შეუქმნა სტაქე. მწვორთელის აზრით, ამ დროს თავად ფეხბურთელებმა უნდა მოახერხონ რაღაც რაღაც არაფერს ნიშნავს, სტანდარტული მდგომარეობების დამუშავებაზე გუნდები ოფლს დვრიან, ხალხი ღამეებს ათევენს ფიქრში, რათა ახალი რამ გამოიგონოს. ჩვენ კი იმ რაღაცათი შორს ვერ წავართ.

უნგრეთი 0:2 რუმინეთი

0:1 ილიე (11), 0:2 ნიკულე (27)

უნგრეთი: კირალი, დ. კორსოში (კაბატი 46), შნოკი, იუბარი, მატეუში, დარდაი, ლისტიმი, ლენდვაი (დიორი 63), ა. კორსოში (ფული 66), ა. ტოკოლი, ფ. პორვატი

რუმინეთი: იორე დედე

რუმინეთი: ლიბონტი, ფილიპსკუ (კოიბა 73), პოპსკუ, რადიო, კოფუ, კონტრა, საბუ, დ. მენტიანუ, მუტუ, ა. ილიე (როსუ 76), მ. ნიკულე (კანი 81)

უნგრეთი: გორეგ მავი

გაფრთხილება: ლენდვაი, კონტრა, რადიო, კოფუ, მავი: ბოუ დალასი (შოტლანდია)

8 000 მაყურებელი

იტალია	7	5	2	0	15:3	17
რუმინეთი	7	5	0	2	9:6	15
საქართველო	7	3	0	4	11:1	9
უნგრეთი	7	2	2	3	14:2	8
ლიტვა	8	0	2	6	3:20	2

მწვინი ტყვენი: იტალია — უნგრეთი რუმინეთი — საქართველო



ალექსანდრე იაშვილმა ბოლო ორ მატჩში სამჯერ გაიტანა

საზოგადოებრივი ტელევიზია



ჩილე — ვენესუელა. სტუმარი ლუსი ვერა (№8) და მასპინძელი რენანდო ნევაო

გარსიას ოთხი დღე თადლით რეკობას თავისი ბაჟის

XV ტური
ჩილე 0:2 ვენესუელა
01 პაესი (57), 02 არანგო (62)
ჩილე: ტაბია, ფ. როსასი, ფერნანდო, ვარგასი, არი-სი (რ. ბერესი 46), აკუნია, გალდამესი, ტილო, ნუნესი (ვალენსია 46), ნაგო, მონტანინი
ვენესუელა: დუდაზო, ვალენსია, ბლანკო, რ. მია, ვიტალი, ს. როსასი, ვერა, მ. მია, ვიტალი, პაესი (ჯ. ბერესი 46), არანგო, ნორიეა, მორანი (როლანი 46)
მსაჯე: რენე ორტუგუე ბეტანკური (ბოლივია)
20 000 მაყურებელი

პერუ 0:2 ურუგვაი
01 დარიო სილვა (13), 02 რეკობა (45)
მსაჯე: ანდრეს ფრისკი (შვედეთი)
45 000 მაყურებელი

ოთხი დღის წინ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონ ფრანგთა მწვრთნელმა როჟე ლემერმა ჩილეს ნაკრებზე თქვა, ამით ცოტა ხანში ყველა მეტოქესთან მოსაგებად თამაში შეეძლებათ. ლემერს ამ აზრმა სანტიაგოში ამხანაგურ მატჩში დამარცხების შემდეგ გაუელვა. ჩილელებმა ზინედინ ზიდანი და მანინი მისი დასაცემი თავიანთ ვალა ივან სამორანოს გამოსაშვებობებელ მატჩში და ქომაგი დიდაც ასიამოვნეს. მაგრამ განვლო სულ რაღაც ოთხი დღე და ჩილელებმა მწვრთნელი პედრო გარსია გადადგა.



პერუ — ურუგვაი. ალგარო რეკობა (№20) გოლიც გაიტანა და მასპინძლებს ხელეციც ააწვეინა

თუ არ ჩავთვლით წინა კვირის ამხანაგურ ბურთობას, გარსიას გარჯის ნაყოფი უარყოფითად რეკორდულია. ცხრა თვის მანძილზე მწვრთნელმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ხუთი მატჩში თავის შევირდებს მხოლოდ კინკლა ქულა მოაპოვებინა. წასვლის დრო ნამდვილად იყო და ვენესუელის ნაკრებთან თამაშის შემდეგ გარსიაც სწორედ ასე მოიქცა.

სამხრეთ ამერიკის მანანალა ვენესუელა ბოლო ხანს ყველას აკვირვებს. ჯერ იყო და, ურუგვაელებს შინ სძლია და მათ კორეა-იაპონურ ოცნებას დიდი კითხვის ნიშანი დაუსვა, აგრ, ახლა კი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონ ფრანგთა ნაკრების ძლიერება მისავე მოედანზე შეარცხვინა. ვენესუელის რიგგარეშე პაესისა და ხუან არანგოს გოლები მასპინძლებს უპასუხოდ დაურჩათ. ჩილელებს ენერჯია მხოლოდ პირველი ტაიმისთვის ეყოთ. მეორე ნახევარში სტუმრებმა იპარპაშეს, სანტიაგოს ცენტრალურ სტადიონზე თავმოყრილი მატჩის მიწურულს ისე დაჩრდილდა, რომ სტუმრებისთვის ტაში დაეკრათ და მათთვის მიეძღვნათ „ოლე-ოლე“, ოთხი დღის წინ თავიანთი გუნდის გასამხნეველად რომ შემოსახეს.

ჩილელებმა დამარცხება ვენესუელისთვის ისტორიულია. ეს გუნდი 1965 წლიდან გამოჩნდა მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურის მოპოვების მსურველთა მარაგში და გუშინწინდელმა სტუმრად მოგება არ ეგება. ვენესუელის ნაკრებმა ნაგის გატყუება და ჩილელებმა უიღბლო მწვრთნელი პედრო გარსიაც იმსხვერპლა.

ვენესუელის მთელი წინა ტურში მრეცხვილია ურუგვაელებმა გასვლაზე სამი ქულის მოპოვება შეძლეს. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონები და ბოლო ორი მსოფლიოს ჩემპიონატის მიღმა დაჩრდილი ურუგვაელები პერუს სტუმრობდნენ. მატჩის გმირი იტალიურ „ინტერში“ მოთამაშე, აპენინებზე საპასპორტო სკანდალში გახვეული ალგარო რეკობა იყო. თაღლითობაში მხილებული ფეხბურთელი შეუჭრებელი გახლდათ. მან პერუელთა კარის დარაჯ მიკელ მირანდას თავი დასაყრდენი. ამით დუელი შეკარგე ხშირად იმარჯვებდა, მაგრამ რეკობამ მირანდას მაინც შეუგდო. ეს გოლი გამორჩეულად ლამაზი გამოდგა — „ინტერის“ თავდასხმელმა საჯარიმო დარტყმით ბურთი ცოცხალ კედელს გადაავლო, მოხდენილად ჩაახვია და ბურთიც ოცდახუთი მეტრის ფრენის შემდეგ მირანდას კარში აღმოჩნდა. რეკობას გოლმდე კი დარიო სილვამ იყოჩაღა.

ურუგვაელებმა პერუელთა ძლიერების შემდეგ ოცდაათი ქულის მოგროვება შეძლეს და წინა ტურში გაუთვალისწინებელი მარცხის მიუხედავად ჯერ კიდევ აქვთ შესარჩევი თამაშების წარმატებით დასრულების შანსი. გუნდმა თავისი გასაკეთებელი გააკეთა, მოიგო, თუმცა, ურუგვაელთა საუბედუროდ, მათი და კორეა-იაპონიის საგზურის ბედი მეზობელთა შედეგანობაზეც არის დამოკიდებული.

გიორგი მამარაშვილი

არის ასეთი ქვეყანა, მას უფაუი უნდა

ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია უფაუიდან გასვლით იმუქრება, თუ ევროფეხბურთის ხელმძღვანელობა თავის რეგულაციებში ცვლილებებს მიიღებს. უფაუს აღმასრულებელ კომიტეტს 6-7 სექტემბრისთვის დაგეგმილი აქვს სხდომა, სადაც ძირითადად ორი ქვეყნის — გიბრალტარისა და ყაზახეთის უფაუს გაწვევას ილაპარაკებენ. სხდომის შემდეგ მოეწყობა კენჭისყრა (სადაც ინგლისისა და ესპანეთის წარმომადგენლებს არ დაუშვებენ), საბოლოო გადაწყვეტილება

ბას კი ოქტომბერში უფაუს კონგრესი მიიღებს. სხვადასხვა საინფორმაციო სააგენტოთა ცნობით, ინგლისის ამ პატარა კოლონიას უფაუს გასწვევას უნდა საკმაოდ მყარი არგუმენტები გააჩნია. ესპანურ ენაზე „მარკას“ ცნობით, გერმანელი, ბელგიელი და შვეიცარიელი თურისტების ჯგუფმა გამოაქვეყნა მოხსენება, რომლის მიხედვითაც გიბრალტარის სრული უფლება აქვს, უფაუს ყველა ტურნირში მიიღოს მონაწილეობა. გიბრალტარი პირინეის ნახევარკუნ-

ძულზე მის უკიდურეს სამხრეთით მდებარეობს, ოცდაათი ათას მოსახლეს ითვლის და წარმოადგენს მთავარ სავაჭრო ქვეს ლონდონ — მადრიდის დიპლომატიური ურთიერთობაში. 173 წლის მთავარაკების შემდეგ გიბრალტარი დიდი ბრიტანეთის ვაგონიანებულ სამეფოს ემორჩილება, რაც ყოველთვის ესპანეთის უკმაყოფილებას იწვევდა. გიბრალტარის წარმომადგენელთა აზრით, უფაუს უარი დიდ ზიანს მიყენებს ამ ქვეყანაში ფეხბურთის განვითარებას.

ლუბა ზამბარაძე

მე ვაჟასწავლა

ოღითბან მივდივარ

ერთმა ალაჰმა უწყის, მადრიდის „რეალს“ რა თავში სახლელად დასჭირდა ეგვიპტურ „ალ-აჰლისთან“ ამხანაგურად ჭიდილი. გახსოვთ ალბათ, გასულ თვეში ზინედინ ზიდანიანმა „რეალმა“ არაბულ გუნდთან 0:1 წააგო. მატჩის შემდეგ მადრიდელთა განრიგის შემდეგ კაპიტანმა ფერნანდო იერომ სულ ცოფები ყარა და თანაც ვისინტე დელ ბოსკეს მისამართით. მან ამ მარცხში მწვრთნელი დაადანაშაულა, არასასიამოვნო სიტუაციაში შეამკო ულვაშა (რვის ოცი წუთით რომ აქვს ულვაშები) დაძირიებული და თანაგუნდელებიც პირდაპირად დატოვა. მაგალითად, მიჩელ სალგადო გაცოცხვალა კაპიტანის სიტყვათა ასეთი მარაგით. მას ეგონა, რომ იეროს საკმაოდ მკაცრი სასჯელი ელოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი წყლიდან მშრალი გამოვიდა. სხვათა შორის, ზუსტად ამ ინციდენტის შემდეგ ჭორები გავრცელდა, დელ ბოსკეს კაპიტანის გაყიდვა და გუნდში აღესაძლო ნესტას მოყვანა ჩაუფიქრებიაო. მალე „რეალის“ ხელმძღვანელობამ უარყო ეს ცნობა, ხოლო თავად ფერნანდო იერომ მისგან შეურაცხყოფის საჯაროდ მიუთხოვია. „იმდენი გამბედაობა ნამდვილად მაქვს, საკუთარი შეცდომები ვაღიარო. ვის არ შეშლია რამე, მაგრამ პირობას ვდებ, მსგავსი აღარასდროს განმეორდება. ამჟამად ჩემსა და მწვრთ-



ფერნანდო იერო

ნელს შორის არანაირი კონფლიქტი არ არსებობს. მან გამოვლო, რადგან ჩემი საქციელი მხოლოდ წაგების შემდგომი სტრატეგია იყო გამოწვეული. დელ ბოსკე ბრწყინვალე სპეციალისტია. ვთხოვთ, მამხილო ჩემს გამონათქვამებს რაიმე მნიშვნელობას არ მიანიჭოთ“ — მონანიებით დადნა იერო.

გაბა ხუციშვილი

გერმანია

ჩრდილოეთი რეგიონალიზა	სამხრეთი რეგიონალიზა
VI ტურის მატჩი	გადაღებული მატჩი
ფორტუნა 5 პაპენჰაიმენი	ალბინი 22 ერფურტი
ლოუბეგი 6 6 0 0 19:8 18	რეგენსბურგი 5 4 1 0 12:6 13
იუტინგენი 6 4 2 0 10:4 14	ვეტენი 6 4 1 1 12:7 13
ესენი 6 4 1 1 13:4 13	ბურგჰაუზენი 6 4 1 1 7:4 13
ბრაუნშვაიგი 6 3 1 2 10:6 10	ოფენბახი 6 3 3 0 7:2 12
ბადერბორნი 6 3 1 2 11:9 10	ტრირი 6 3 2 1 12:7 11
ფერლი 6 3 1 2 9:8 10	დარმშტადტი 6 3 2 1 10:7 11
აუტენშაიდი 6 3 1 2 8:8 10	ფიფერსბერგი 6 3 1 2 6:6 10
გემშიცი 6 3 0 3 12:11 9	ჰოფენჰაიმი 6 3 0 3 14:9 9
ვერდერი (მოყვ.) 5 1 3 1 7:7 6	მანჰეიმი 5 2 3 0 5:1 9
ოსნაბრუიკი 6 1 3 2 7:7 6	ბაიერი (მოყვ.) 5 3 0 2 8:8 9
ფორტუნა 6 1 3 2 4:5 6	ზიგენი 6 2 2 2 3:4 8
ლევინგუზენი (მოყვ.) 5 2 0 3 7:12 6	კიკერსი 5 1 2 2 6:7 5
მაგდებურგი 6 1 2 3 6:9 5	ანსბახი 5 1 1 3 4:6 4
დიუსელდორფი 5 1 2 2 2:7 5	აალენი 6 1 1 4 7:16 4
კილი 6 1 2 3 6:12 5	ფულდა 6 0 3 3 2:7 3
დრეზდენი 5 1 0 4 2:6 3	ერფურტი 5 0 2 3 3:6 2
მიუნსტერი 6 0 1 5 4:14 1	შტუტგარტი (მოყვ.) 4 0 1 3 3:8 1
	ლაუტერნი (მოყვ.) 6 0 0 6 6:16 0

ნოდარ ახალგაზრდის სახელობის საფეხბურთო სკოლა „ირაო“ აცხადებს 1992, 93, 94, 95 წლებში დაბადებულ ბავშვთა მიღებას

მისამართი: ვაკე, ჭავჭავაძის 37

ფირმების რეპრეზენტაცია
ოფორული კომპანიები
რუსეთის ვიზუი

მისამართი:
„პირიფა“ მეორე სართული
ბელუფონი: 93-52-34, 877 42-20-59

ინფორმაცია 24 საათის განმავლობაში
ფეხბურთი, NHL, NBA
8 22 009 000, 8 22 009 001 (160 / 50 თატირი)

Table with columns: თარიღი დრო №, ინგლისი, პრაქტიკული, 2001-02 V ბური, კოეფიციენტი, პანდია, მ. 2000-01, 1999-00, 1998-99. It lists various subjects and their corresponding scores and coefficients.

Table with columns: №, 1-20, თ, მ, ფ, გ, ბ, ჯ. It contains a grid of numerical data for 20 subjects.

Table with columns: თარიღი დრო №, ინგლისი, პრაქტიკული დივიზიონი, 2001-02. VI ბური, კოეფიციენტი, პანდია, მ. 2000-01, 1999-00, 1998-99. It lists subjects like სტატისტიკა, მათემატიკა, etc., with their scores.

Table with columns: №, 1-24, თ, მ, ფ, გ, ბ, ჯ. It contains a grid of numerical data for 24 subjects.

Table with columns: თარიღი დრო №, მობლანდია, პრაქტიკული, 2001-02. VI ბური, კოეფიციენტი, პანდია, მ. 2000-01, 1999-00, 1998-99. It lists subjects like მათემატიკა, ფიზიკა, etc., with their scores.

Table with columns: №, 1-12, თ, მ, ფ, გ, ბ, ჯ. It contains a grid of numerical data for 12 subjects.

თარიღი დრო № იხმლისი. გორა დივიზიონი. 2001-02. VI ტური

თარიღი დრო № იხმლისი. გორა დივიზიონი. 2001-02. VI ტური (ჩაგრძობა)

თარიღი დრო № იხმლისი. მსახე დივიზიონი. 2001-02. VI ტური

თარიღი დრო № იხმლისი. მსახე დივიზიონი. 2001-02. VI ტური (ჩაგრძობა)

თარიღი დრო № გობლანდია. პირველი დივიზიონი. 2001-02. V ტური

თარიღი დრო № გობლანდია. პირველი დივიზიონი. 2001-02. V ტური (ჩაგრძობა)

Table with 10 columns: Date, Time, Room No., Description, and a grid of numbers. Title: ჯოჯინია. პირველი დივიზიონი. 2001-02. IV ტური

Table with 18 columns and 18 rows. Columns 1-18 are numbered. Columns 19-25 are labeled with letters. It contains match results and statistics.


Table with 10 columns: Date, Time, Room No., Description, and a grid of numbers. Title: ბალგია. პირველი დივიზიონი. 2001-02. IV ტური

Table with 18 columns and 18 rows. Columns 1-18 are numbered. Columns 19-25 are labeled with letters. It contains match results and statistics.

Table with 10 columns: Date, Time, Room No., Description, and a grid of numbers. Title: ბალგია. პირველი დივიზიონი. 2001-02. IV ტური

Table with 18 columns and 18 rows. Columns 1-18 are numbered. Columns 19-25 are labeled with letters. It contains match results and statistics.

კუარტენს მარაკანაში ნიუ იორკში ჩაუბანეს



„გუგა პირველი“ — ამტიციებენ ბრაზილიელი გულშემატკივრები და გუსტავო კუერტენის გამარჯვებით თავადაც ხარობენ



REUTERS ნიუ იორკიდან

მაჟულეს და თავად გახდა გამარჯვებული. ახლა და ისევ მეოთხედფინალში გადაყარნენ ერთმანეთს. თუ წარსულის გამოცდილებით განვსჯით, სავსებით შესაძლებელია, ჩემპიონის კვარცხლბეკზე ისევ უილიამსი ვიხილოთ.

მესამედ განთესილი ზორბა ამერიკელი მეორე სეტის ტაი-ბრეიკში მატჩ-პოინტს დაუძვრა და ხელიც მოიგო, მაგრამ მესამეში ისევ სერენამ იყოჩაღა და გაიმარჯვა კიდეც 6:3, 6:7 (7-9), 7:5.

„ყოველთვის როულია მძიმე მდგომარეობიდან თავის დაღწევა. მე ყველაფერი გავიღე წარმატებისთვის. გულსატკეპნია მეოთხედფინალში მარცხი. დიდი ხანია, ასპარეზობის ამ სტადიაში არ წამიგია. აშკარაა, რომ წლეულს უფრო მედგრად ვიბრძოდი და მხოლოდ მათთან დაგმარცხდი, რომლებიც იმსახურებდნენ კიდეც გამარჯვებას. არა მგონია, საუკეთესო ათეულის მიღმა მეოფ ბევრ ჩოგბურთელთან დაგმარცხებულყავი და საერთოდ, ვფიქრობ, წლეულს სამარცხვინოდ არსად წამიგია“ — საკუთარი თავით არცთუ უკმაყოფილო ჩანს დევენპორტი.

ყოველთვის თავდადალით გამორჩეულმა დევენპორტმა არა მარტო მეგობრულად მიულოცა უილიამსს გამარჯვება, არამედ მატჩის შემდეგ კომპლიმენტებიც არ დაუშურებია მის მიმართ. თავად სერენამ კი სიხარულისგან შეპყვილა.

გიგა გუგასაშვილი

მერვედფინალი

მამბი

ინდი რაფიკი (18, აშშ) — ტომი რობრედო (ესპანეთი) 6:2, 6:2, 6:4; მუსტაფა კუარტენი (1, ბრაზილია) — ალბერტ კოსტა (საფრანგეთი) 6:4, 6:4, 7:6 (9-7); ივანე პანოლინი (7, რუსეთი) — არნო კლემანი (12, საფრანგეთი) 6:3, 6:4, 6:3; ლიბორე პიშიტი (4, ავსტრალია) — ტომი პაპი (16, გერმანია) 3:6, 7:5 (7-2), 6:4, 6:2

მეოთხედფინალი

მამბი

სირენა უილიამსი (10, აშშ) — ლინდსი დევენპორტი (3, აშშ) 6:3, 6:7 (7-9), 7:5; მარტინა პინგისი (1, შვეიცარია) — დაია ზედანოვა (ჩეხეთი) 6:2, 6:0

ბრაზილიელი პირველი ჩოგანი, რომელიც აშშ-ის ღია პირველობაზე ბადის უმაღლეს საფეხურზე გამწვანებული, სხვებზე მეტად თავად არის გაკვირვებული საკუთარი წარმატებით. მოგეხსენებათ, გუსტავო კუერტენი მეოთხედფინალში დილსტრატადია ცნობილი. ამ მხრივ ყველაზე მეტი წარმატებებიც, რა თქმა უნდა, ამ საფარზე მოუპოვებია. აბა, საფრანგეთის ღია პირველობის ჩემპიონობას სხვაგვარად სამჯერ როგორ შესწვებოდა. თუმც ახლა საკუთარი შესაძლებელია, დიდი სლემის სამ ტიტულს კარდზე წარმატებაც დაურთოს, რადგან ახლა ასეთ საფარზეც კარგად მისდის თამაში.

„შემიძლია ვითხრაო, რომ ალბათ მეც ისეთივე დონეზე ვთამაშობ, როგორც სხვები. ეტყობა, ეს რაღაც ახლის დასაწყისია ჩემთვის, რადგან ამჯერ კორტზე არასდროს გავსულვარ ნახევარფინალში. მე მზად ვარ ბრძოლისთვის“ — სამსეტთან პაექრობაში ესპანელი ალბერტ კოსტას ძღვევს შემდეგ განაცხადა კუერტენმა.

უნდა ითქვას, რომ ბრაზილიელისა და მეორე მოცე ჩოგან ალბერტ კოსტას ორთაბრძოლა ნაკლებად გამოირჩეოდა დაბაბულობით. ასეთი რამ მხოლოდ საფინალო მესამე სეტზე თუ ითქმის, როდესაც საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა. გუგა მთელი მატჩის განმავლობაში ისე ირჯებოდა, თითქოს საყვარელ საფარზე თამაშობდა. ესპანელთან 18 ეისითაც გამოიღო ხელი, თანაც ისე, რომ არც ერთი ორმაგი შეცდომა არ დაუშვია. პირველი მოწოდების მაჩვენებელი 82 პროცენტით ჰქონდა. გუგას გულშემატკივართა მხრივაც გაუმართლა. სამშაბათ საღამოს ლუი ამსტრონგის სტადიონი მარაკანას უფრო ჰგავდა, ვიდრე საჩოგბურთო კორტს. სტადიონი ბრაზილიის მოფრიალე დროშებით, მომღერალი და მოცეკვავე კუერტენის გულშემატკივრებით გადაჭვდილიყო. თანამემამულის მიერ ესპანელის 6:4, 6:4, 7:6 (9-7) ძღვევა სამხრეთამერიკელებმა მართლაც ერთობ ხმაურთანად აღნიშნეს.

„ძალიან ხმაურობდნენ. ეს რაღაც ბრაზილიური ფესტივალის კვირეულის მაგვარი რამ იყო. ნიუ იორკში ბრაზილიელთა მოზღვავება ალბათ მათმა ჩემდამი დამოკიდებულებამ განაპირობა. მათი თანამემამულე აშშ-ის ღია ჩემპიონატის ამ სტადიაზე ხშირად ხომ არ ასპარეზობს. დარწმუნებული ვარ, ყველანი ნასიამოვნები დარჩებოდნენ“ — განაცხადა ბრაზილიელთა სიხარულის შემოქმედმა.

სხვათა შორის, კუერტენს, რომელსაც ტურნირის ფავორიტად არ მიიჩნევენ, ეს ამერიკელებმაც არაერთხელ დაუდასტურეს, თუმც სხვაგვარად, როდესაც უთხრეს, მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელთა შორის ადგილი არ მოგებებნება, ანდრე აგასისა და პიტ სამპრასზე რომ არაფერი ვთქვათ, ამომავალ ვარსკვლავ ენდი როდიკის დარ ჩოგბურთელთანაც კი ვერ გავატოლებით.

კუერტენს ამის გამო გულში წყენა არ ჩაუდვია და მათი ასეთი საქციელი ბუნებრივი პატრიოტიზმის გამოხატულებად აღიქვა: „დავბრუნდეთ ბრაზილიაში. მაშინაც კი, როდესაც პირველი ნომერი არ ვიყავი, ჩემი თანამემამულეები სხვებს მამჯობინებდნენ. ამიტომაც მესმის ამერიკელების“ — შემწვანებულურად თქვა გუგამ.

ნახევარფინალში გასაღწევად კუერტენს ახლა ფრანგ არნო კლემანის მძლეველ რუს ევგენი კაფელინიკოვთან მოუწევს შებმა. საფრანგეთისა და ავსტრალიის ღია პირველობების გამარჯვებულმა ფინამ, რომელმაც წინა სამ შეხვედრაში კლემანთან პაექრობისას მარცხი იწვნია, ახლა სამსეტთან ორთაბრძოლა თავის სასარგებლოდ დაასრულა — 6:3, 6:4, 6:3.

სხვათა შორის, მეშვიდედ განთესილი კაფელინიკოვისთვის წლეულს ეს მესამე დიდი სლემის ტურნირია, სადაც მერვედფინალი გადალახა.

მათგან განსხვავებით, ამერიკის საჩოგბურთო სკოლის მომავლად შერაცხულ ენდი როდიკს ესპანელი ტომი რობრედოს 6:2, 6:2, 6:4 ძღვევის შემდეგ საკმაო ხნის ლოდინი დასჭირდა იმის შესატყობად, თუ ვის შერეკინებოდა მეოთხედფინალში. აქ უკვე ბუნებრივ მოვლენასთან გვაქვს საქმე. თუმცა ეს მანამდე მოხდა, სანამ როდიკი ესპანელს დაამარცხებდა. როდიკის შესაძლო მეტოქეებს — ავსტრალიელ ლეიტონ პიუიტსა და გერმანელ ტომი პაპის ერთმანეთში ჰქონდათ ურთიერთობა გასარკვევი. მათი დაპირისპირება კი დიდხანს არ გაგრძელდებოდა. ნიუ იორკის თავზე მოქუფრული ცივიდან წვიმამ მაშინ დასცხო, როდესაც მეთექვსმეტედ განთესილი გერმანელი პირველ სეტში 6:3 დაწინაურებულიყო და მეორეში მეოთხედ განთესილ ოზთან თანაბარი შედეგი — 2:2 ჰქონდა.


მართალია, მერე წვიმამაც გადაიღო, მაგრამ ორგანიზატორებმა მატჩის ხელახლა გაგრძელება აღარ ისურვეს იმ მოტივით, რომ იმულებითი პაუზა საკმაოდ გაიწვია. ამ ხნის განმავლობაში მომღვერო წყვილის შეხვედრის დროც დადგა, თანაც სტადიონზე მყოფი მაყურებლები ახალი ბილეთების მფლობელ გულშემატკივართა ნაკადით უნდა ჩანაცვლებულიყო. მატჩი მეორე დღეს განახლდა და პიუიტის გამარჯვებით დასრულდა.

სხვათა შორის, ლამის იგივე ბედი ეწვია კაფელინიკოვისა და კლემანის შეხვედრასაც — რუსისა და ფრანგის ორთაბრძოლა 80 წუთით შეჩერდა.

ავსტრალიელისა და გერმანელის შეწყვეტილი მატჩის შემდეგ კორტზე საინტერესო დაპირისპირების შედეგა.

სერენა უილიამსისა და ლინდსი დევენპორტის ღვეულში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გარდაუვალი ჩანდა. მით უმეტეს, რომ აშშ-

ის ღია პირველობას მრისხანე მეტოქეთათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მათ ადრე ერთმანეთისთვის აურთმევიათ ჩემპიონის გვირგვინი — 1998 წლის გამარჯვებული დევენპორტი მომღვერო წლის გათამაშების ნახევარფინალში ტიტულის შესანარჩუნებლად იბრძოდა, როცა საწადელის ასრულებაში ხელი შეუშალა უილიამსმა, რომელმაც შემდეგ ჩემპიონობაც მოიპოვა. შარშან მეოთხედფინალში კი უკვე დევენპორტმა გადაუღობა გზა თანამე-



სერენა უილიამსი მორიგ ტულას იღნიშნავს

